ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

მდგრადობის პოლიტიკა

შინაარსი

შესავალი 2

1. პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 2

1.1. მდგრადობის ხელშეწყობა სწავლებით, კვლევითა და ინოვაციებით 3

1.2. გარემოს მდგრადობა და მდგრადი ოპერაციები 3

1.3. საზოგადოებრივი ჩართულობა 4

1.4. სოციალური თანასწორობა და კეთილდღეობა 5

2. პასუხისმგებლიანი ინვესტირების პოლიტიკა 5

2.1. შესავალი 5

2.2. პოლიტიკის მოთხოვნები 5

2.3. რევიზია, მონიტორინგი და ანგარიშგება 6

3. მდგრადი შესყიდვების პოლიტიკა 6

3.1. შესავალი 6

3.2. პოლიტიკის განაცხადი 6

3.3. პოლიტიკის სავალდებულო მოთხოვნები 7

3.4. პოლიტიკის რეკომენდებული მოთხოვნები 7

3.5. პოლიტიკის დანერგვა, ანგარიშგება და გადახედვა 8

შესავალი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი აცნობიერებს საკუთარ როლს უკეთესი მომავლის უზრუნველყოფასა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში.

უნივერსიტეტისთვის მდგრადობა და მდგრადი განვითარება ნიშნავს ბრუნდტლანდის კომისიის მიერ (1987) მიღებულ განმარტებას – „მდგრადი განვითარება არის განვითარება, რომელიც გულისხმობს დღევანდელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალი თაობების ინტერესებს“.

უნივერსიტეტი, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება იღებს პასუხისმგებლობას გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის განვითარებასა და ეკონომიკური მდგრადობის ხელშეწყობაში.

დოკუმენტი ასახავს უნივერსიტეტის პოლიტიკას კლიმატური ცვლილებების, რესურსების ამოწურვისა და სოციალური უთანასწორობის გამოწვევების საპასუხოდ.

მდგრადობის პრინციპების საქმიანობაში დანერგვით, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს შეამციროს მავნე ზეგავლენა გარემოზე და ხელი შეუწყოს საზოგადოების კეთილდღეობას.

პოლიტიკა წარმოადგენს სახელმძღვანელო ჩარჩოს უნივერსიტეტის მიერ მდგრადობის ხელშეწყობისკენ მიმართული აქტივობებისათვის, ის გადაიხედება და შეიცვლება დროთა განმავლობაში, აქტუალური გამოწვევებისა და შესაძლებლობების კვალდაკვალ.

პოლიტიკა შემუშავებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის კომიტეტის მიერ, საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობით. მდგრადობა წარმოადგენს უნივერსიტეტის ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტს, შესაბამისად, სტრატეგიული განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის კომიტეტი აფასებს უნივერსიტეტის მდგრადობის პოლიტიკისა და პრაქტიკის იმპლემენტაციას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს შემდგომი განვითარებისთვის.

1. პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

უნივერსიტეტის მდგრადობის პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- მდგრადობის ხელშეწყობა სწავლებით, კვლევითა და ინოვაციებით;
- გარემოს მდგრადობა და მდგრადი ოპერაციები;
- საზოგადოერივი ჩართულობა;
- სოციალური თანასწორობა და კეთილდღეობა.

1.1. მდგრადობის ხელშეწყობა სწავლებით, კვლევითა და ინოვაციებით

უნივერსიტეტი ახალისებს გარემოსდაცვით განათლებას საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად და მის დასაცავად ერთობლივი მოქმედებისათვის. ცოდნის შექმნით, გაფართოება-გავრცელებით უნივერსიტეტი ისწრაფვის მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევების გადაჭრის გზების ძიებისა და გაეროს მიერ ამ მიმართულებით დასახული მიზნების მიღწევისაკენ. მათ შორის, უნივერსიტეტი:

- შეიმუშაოს და დანერგოს მდგრადობასთან დაკავშირებული სასწავლო კურსები საგანმანათლებლო პროგრამებში;
- მხარი დაუჭიროს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, შესაბამისი რესურსებისა და სხვა წამახალისებელი ღონისძიებებით, რათა მათ შეძლონ წვლილი შეიტანონ მდგრადობის კონცეფციის კვლევაში, განვითარებასა და სწავლებაში;
- მხარი დაუჭიროს კვლევებს მდგრადობის მიმართულებით, შესაბამისი პროექტებისათვის საგრანტო დაფინანსების გამოყოფითა და სხვა დაწესებულებებთან ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვით;
- გაავრცელოს კვლევის შედეგები და ახალი ცოდნა პუბლიკაციების, კონფერენციებისა და ღონისძიებების საშუალებით;
- წაახალისოს თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებსა და გარე დაინტერესებულ მხარეებს შორის მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევების საპასუხოდ.

1.2. გარემოს მდგრადობა და მდგრადი ოპერაციები

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი ხელს უწყობს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებას მდგრადი ოპერაციებით, სათბური აირების ემისიის შემცირებით, ენერგიისა და წყლის რესურსების დაზოგვით, ნარჩენების პასუხისმგებლიანი მართვითა და ნახშირბად-ნეიტრალური კამპუსისკენ სწრაფვით. მათ შორის, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს:

- მიაღწიოს ნახშირბადნეიტრალურობას 2030 წლისათვის, პირველი და მეორე დონის ემისიებისათვის. მესამე დონისთვის სამიზნე ნიშნულის განსაზღვრა მოხდება მისი ოდენობის ზუსტი კალკულაციის შემდეგ;
- მონიტორინგი გაუწიოს სათბური აირების ემისიის შემცირების პროცესს, გააუმჯობესოს ანგარიშგებისა და ემისიების დათვლის სიზუსტე და ხარისხი;
- განაგრძოს ენერგოეფექტიანი პრაქტიკის წახალისება უნივერსიტეტში და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება კამპუსში. ჩაატაროს რეგულარული ენერგოაუდიტი ეფექტიანობის გასაზრდელად;
- ხელი შეუწყოს ენერგიის პასუხისმგებლიან მოხმარებას საუნივერსიტეტო საზოგადოებაში და დანერგოს ნარჩენების შემცირებისა და გადამუშავების პროგრამები კამპუსში;

- დანერგოს შესყიდვებისა და ინვესტირების მდგრადი პრაქტიკა,[1] მათ შორის მშენებლობისა და არსებული შენობების განახლების პროცესში;
- განაგრძოს და შესაძლებლობების პროპორციულად გაუმჯობესოს ნარჩენების მიმართ მიდგომა პრინციპით უპირატესიდან ნაკლებად სასურველამდე: თავიდან აირიდოს (მათ შორის, შეამციროს), კვლავ გამოიყენოს, გადაამუშაოს, დააკომპენსიროს, დაალოკალიზოს და დაამუშავოს (avoid and reduce; reuse; recycle; recover; treat or dispose);
- განაგრძოს მდგრადი წარმოების საკვების პოპულარიზება კამპუსში, მათ შორის ადგილობრივი მწარმოებლების მხარდაჭერა, ასევე ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ემისიების შემცირების ხელშეწყობა;
- წაახალისოს წყლის რესურსების დაზოგვის პრაქტიკა კამპუსში, განახორციელოს ინვესტიცია წყლის დაზოგვის ტექნოლოგიებში;
- „ნახშირბადის ნაკვალევის“ შესამცირებლად, განაგრძოს მდგრადი ტრანსპორტის და სახლიდან მუშაობის შესაძლებლობის წახალისება, სადაც შესაძლებელია.

1.3. საზოგადოებრივი ჩართულობა

უნივერსიტეტი ახალისებს პოზიტიურ ცვლილებებს ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, მათ შორის:

- ატარებს სხვადასხვა ღონისძიებას მდგრადობის თემატიკაზე როგორც საუნივერსიტეტო, ისე ფართო საზოგადოებისათვის;
- ხელს უწყობს მდგრადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას სასკოლო საზოგადოებაში, ასევე სკოლის მოსწავლეებს პოპულარიზაციის პროექტების განხორციელებაში;
- თანამშრომლობს სტუდენტურ ორგანიზაციებთან მდგრადობის ინიციატივების წასახალისებლად;
- შეიმუშავოს საგანმანათლებლო რესურსები და მასალები მდგრადობის თემატიკაზე;
- ხელს უწყობს ბიზნესს მდგრადობის გაცნობიერებასა და დანერგვაში, მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფით;
- მონაწილეობს მდგრადი განვითარების ინიციატივებში, ერთვება შესაბამისი საზოგადოებრივ ქსელებში, საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გასაზიარებლად.

[1] უნივერსიტეტის მდრადი ინვესტირებისა და შესყიდვების პრინციპები წარმოდგენილია პოლიტიკის მეორე და მესამე თავებში.

1.4. სოციალური თანასწორობა და კეთილდღეობა

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებებია თანასწორობა, მიუკერძოებლობა და მრავალფეროვნება. უნივერსიტეტი ქმნის გარემოს, სადაც ყველა ინდივიდს აქვს განვითარებისა და წარმატების თანაბარი შესაძლებლობა. მათ შორის, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს უნივერსიტეტის მრავალფეროვნებისა და თანასწორობის პოლიტიკის ეფექტური იმპლემენტაცია და დანერგოს ტრენინგები მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის საკითხებზე პერსონალისა და სტუდენტებისთვის;
- ხელი შეუწყოს პერსონალისა და სტუდენტების კულტურულ კომპეტენციებსა და კულტურული ცნობიერების ამაღლებას;
- მხარი დაუჭიროს კვლევასა და ინიციატივებს სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის მიმართულებით;
- განაგრძოს პერსონალისა და სტუდენტების ფიზიკურ და ემოციურ კეთილდღეობაზე ზრუნვა.

2. პასუხისმგებლიანი ინვესტირების პოლიტიკა

2.1. შესავალი

უნივერსიტეტი, მისი სოციალური პასუხისმგებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს ფინანსური რესურსის პასუხისმგებლიან ინვესტირებას.

გადაწყვეტილებების მიღებისას, უნივერსიტეტის ინვესტირების პოლიტიკა ითვალისწინებს გარემოსდაცვით, სოციალურ, მმართველობით პრინციპებს და აძლიერებს უნივერსიტეტის ხედვას, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ განვითარებასა და მდგრადობას.

2.2. პოლიტიკის მოთხოვნები

1. გადაწყვეტილებები ინვესტიციის შესახებ მიიღება გარემოსდაცვითი, სოციალური და საუკეთესო მმართველობითი სტანდარტების გათვალისწინებით;
2. უნივერსიტეტი არ დააფინანსებს ისეთ კომპანიებსა თუ აქტივობებს, რომელიც ეწინააღმდეგება საუნივერსიტეტო ღირებულებებს და ეწევა არაეთიკურ ბიზნეს პრაქტიკას (ასოცირებულია ომის დანაშაულის დაფინანსებასთან და სხვ.);
3. ინვესტიცია არ განხორციელდება ნახშირის ინდუსტრიასა და წიაღისეული საწვავის მოპოვებაში;
4. უნივერსიტეტი არ დააფინანსებს თამბაქოსა და მისი ნაწარმის წარმოება-გავრცელებას;
5. ინვესტიციები ენერგიის სექტორში მიმართული იქნება მხოლოდ სუფთა და განახლებადი ენერგიის წარმოებისა და მოხმარების მხარდასაჭერად;
6. ინვესტიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, უნივერსიტეტი, სხვა ფაქტორებთან ერთად, შეისწავლის კომპანიის ბიზნეს პრაქტიკას და უპირატესობით

ისარგებლებს ორგანიზაცია, რომელიც მხარს უჭერს გაეროს გლობალური შეთანხმებისა და ESG პრინციპებს;

7. საინვესტიციო გადაწყვეტილება ეფუძნება საზოგადოების საჭიროებებს, ადგილობრივი და საერთაშორისო მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ხელშესაწყობად.

2.3. რევიზია, მონიტორინგი და ანგარიშგება

1. ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პოლიტიკის დანერგვაზე.
2. პოლიტიკა გადაიხედება ყოველწლიურად, მისი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

3. მდგრადი შესყიდვების პოლიტიკა

3.1. შესავალი

უნივერსიტეტი შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მდგრადობის ხელშეწყობის პოლიტიკით, რაც გარემოსდაცვითი, სოციალური და საუკეთესო მმართველობითი ასპექტების ამსახველია.

პოლიტიკა მიზნად ისახავს შეამციროს უნივერსიტეტის შესყიდვების ჯაჭვის გარემოზე გავლენა; შესყიდვებისას იმ პროდუქტების პრიორიტეტი დგინდება, რომლებიც წარმოებულია ეკოლოგიურად სუფთა მასალებით და ნაკლები ზიანი მოაქვს გარემოსათვის; თანამშრომლობა ხდება იმ კომპანიებთან, რომლებიც პატივს სცემს ადამიანთა ფუნდამენტურ და შრომით უფლებებს, გარემოს დაცვის სტანდარტებს და ორიენტირებულია მიწოდების ქსელში ნარჩენების შემცირებაზე.

3.2. პოლიტიკის განაცხადი

უნივერსიტეტის მიზანია, მიაღწიოს მაქსიმალურ ეფექტიანობას მდგრადობის კუთხით და შეამციროს მავნე სოციალური შედეგები, ასევე ნეგატიური ზეგავლენა გარემოზე.

უნივერსიტეტი, შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას:

- აფასებს შესყიდვის საჭიროებას და მის მოცულობას;
- ითვალისწინებს ხელახალი გამოყენების შესაძლებლობას;
- პრიორიტეტს ანიჭებს იმ პროდუქტებსა და სერვისებს, რომელთაც მინიმალური უარყოფითი ზეგავლენა აქვთ გარემოზე;
- იყენებს სასიცოცხლო ციკლის (life cycle) მიდგომას შესყიდვებისას და აფასებს პროდუქტებისა და სერვისების გარემოზე ზემოქმედებას გამოყენების მთელი ვადის განმავლობაში, ნარჩენების გენერაციისა და რესურსების მოხმარების დონეს;

- პრიორიტეტის ანიჭებს ენერგო-ეფექტურ და მწვანე ტექნოლოგიებს, ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების შეძენისას, უნივერსიტეტის ენერგო-ეფექტურობის პოლიტიკის შესაბამისად;
- ითვალისწინებს ეთიკურ მხარეს, იმ მომწოდებლებისთვის უპირატესობის მიცემით, რომლებიც ხელს უწყობენ თანასწორობასა და მრავალფეროვნებას;
- უზრუნველყოფს შესყიდვებში ჩართული პირების ცნობიერების ამაღლებას.

3.3. პოლიტიკის სავალდებულო მოთხოვნები

1. შესყიდვის საჭიროება უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული. შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ მაშინ, თუ საკუთრებაში არსებული პროდუქტის გამოყენება და განახლება/შეკეთება არ არის შესაძლებელი.
2. თანაბარი ღირებულების პროდუქციას შორის, არჩევანი უნდა გაკეთდეს პროდუქტების გარემოზე ზემოქმედების დონის გათვალისწინებით - გაითვალისწინება გადამუშავების შესაძლებლობა.
3. თავიდან უნდა იქნას აცილებული ჯანმრთელობასა და გარემოზე მომეტებული მავნე ზეგავლენის პროდუქციის შეძენა.
4. სატენდერო გადაწყვეტილების მიღებისას, მომწოდებელთა საქმიანობა ფასდება უნივერსიტეტის ეთიკურ ღირებულებებისა და ტენდერში მონაწილე სუბიექტების გარემოსდაცვითი პოლიტიკის გათვალისწინებით.
5. ელექტრონული მოწყობილობების შეძენის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ენერგო-ეფექტიანობის კრიტერიუმის გათვალისწინებით და უნივერსიტეტის შესაბამისი პოლიტიკის საფუძველზე.
6. მხედველობაში მიიღება პროდუქტის რესურსების მოხმარების საკითხები.

3.4. პოლიტიკის რეკომენდებული მოთხოვნები

1. ეკოლოგიურად სუფთა საწმენდი საშუალებების შესყიდვა.
2. იმ პროდუქტების შესყიდვისგან თავის შეკავება, რომლის გადამუშავებაც შეუძლებელია.
3. ბეჭდვისათვის შეძენილი ქაღალდი უნდა მოიცავდეს გადამუშავებულ მასალას, ხოლო სხვა დანიშნულების ქაღალდი უნდა იყოს დამზადებული გადამუშავებული მასალისგან.
4. შეირჩევა ისეთი მომწოდებელი, რომელიც იყენებს ნარჩენების იერარქიას შეფუთვისთვის (reduce, reuse, recycle).
5. სასურველია, ყველაზე მსხვილ მომწოდებლებსა და კონტრაქტორებს ჰქონდეთ მდგრადობის პოლიტიკა.
6. პროდუქციის მიწოდება ხდება მრავალჯერადი მოხმარების შეფუთვაში.

3.5. პოლიტიკის დანერგვა, ანგარიშგება და გადახედვა

1. შესყიდვების გუნდი პასუხისმგებელია პოლიტიკის დანერგვასა და უნივერსიტეტის შესყიდვების პროცესში მდგრადი შესყიდვების პრაქტიკის უზრუნველყოფაზე.
2. შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი პოლიტიკის შესაბამისად წარადგენს ანგარიშებს.
3. შესყიდვების სამსახური აფასებს უნივერსიტეტის შესყიდვების პრაქტიკასთან პრაქტიკის შესაბამისობას.
4. შეფასებაზე დაფუძნებით, განისაზღვრება გაუმჯობესების გზები და სამიზნე ნიშნულები მომდევნო წლისათვის. სამიზნე ნიშნულები და შესრულების ძირითადი ინდიკატორები დგინდება ყოველ მომდევნო წელს, ანგარიშის შედეგებზე დაფუძნებით.
5. პოლიტიკა გადაიხედება ყოველწლიურად.